III თავი

სწავლის საფასურის გადახდა - ადმინისტრაციული რეგისტრაცია

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2023 წ)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან (ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან) დაკავშირებული რეგულაცია მოცემულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ **„სწავლის საფასურის გადახდის წესში“** (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 3).**

ბსუ-ს სტუდენტი ვალდებულია <u>ყოველ სასწავლო სემესტრში</u> ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში **გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია** - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი (გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან პროგრამული დაფინანსება ან სოციალური დახმარება/გრანტი)

„სწავლის საფასურის გადახდის წესის“ თანახმად, შესაბამისი სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის გათვალისწინებით, <u>ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის გადახდის ვადები</u> (მათ შორის ნაწილ-ნაწილ, ეტაპებად გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N36 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის“** (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 29) მიხედვით,** ბსუ-ში საქართველოს მოქლაქეებისათვის უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე (I-II საფეხურის/ერთსაფეხურიანი-საბაკალავრო სამაგისტრო/მასწავლებლის 60-კრედიტიან პროგრამაზე) სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს (აკადემიურ წელში ასათვისებელი 60 კრედიტის საფასური), ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სწავლის წლიური საფასური საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე შეადგენს 2250 აშშ დოლარს, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 აშშ დოლარს.

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სხვა ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამით ან/და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ბსუ-ში უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვების) **შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში,**

სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, სწავლის წლიური საფასური სტუდენტს განესაზღვრება შესაბამის პროგრამაზე საქართველოს მოქალაქისათვის განსაზღვრული ოდენობით, **შემდეგნაირად:**

ა) მიმდინარე სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია **ან** თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;
ბ) **მომდევნო სემესტრიდან** - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია **ან** თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სამართლებრივი აქტები აკადემიურ და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების, ასევე სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის შესახებ, ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu@edu.ge (ველში - **,,სწავლა", ,,აკადემიური კალენდარი").**

აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ რექტორის ბრძანება, ასევე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე www.bsu@edu.ge (ველში - რექტორის ბრძანებები), ასევე სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ვრცელდება ბსუ-ს პორტალის მეშვეობით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ან/და ინდივიდუალურად ეცნობება შესაბამის სტუდენტს.

შენიშვნა:

2023-2024 სასწავლო წლისათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები დადგენილია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

1. ,, 2023 -2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის **ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების** განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს N01-02/153 ბრძანება;
2. ,,ბსუ-ს **2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის N06-01/77 დადგენილება.